ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7555027

ნომერი: AR11097471

თარიღი : 09.07.2025

გაცემის თარიღი : 16.07.2025

გაცნობის თარიღი : 16.07.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ.მტკვრის მარჯვენა , სანაპიროსა და კოსტავას , I შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გაიოზი ჭანკვეტაძე პ/ნ 01017024251
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ნომენკლატურა :

- საწყობი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ნეო სითი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404669729
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ტარიელ გაბუნია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01020006346

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2000.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 129.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 681.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 454.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 227.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი სსსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2025 წლის 09 ივლისის AR11097471 განცხადება, ეომრლიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვება სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, საჯარო რეესტრის მონაცემებით შენობა N1 და N2 სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშეა, შესაბამისად აღნშნული დემონტაჟის პროექტში არ უნდა იყოს გათვალისწინებული. ამასთან საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შენობა N3 (ნანგრევის) კანონიერების დამდგენი დოკუმენტი.

განგიმარტავთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან და მცირე არქიტექტურულ ობიექტებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება და მცირე არქიტექტურულ ობიექტების მოწყობა კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა– ნაგებობებისა და მცირე არქიტექტურულ ობიექტების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.